ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლ ე ნ ტ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 97230311**
თარიღი:**31/01/2023**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30˝ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03“ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელის მინიჭების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N-19 დადგენილების მე -2 მუხლის,ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 იანვრის N96-96230119 მომართვის თანახმად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უსახელო მწვერვალს (გეოგრაფიული კოორდინატები: ჩრდილოეთ განედის 42^0. 45. 30˝ და აღმოსავლეთ გრძედის 43^0.00.03“ სიმაღლე ზღვის დონიდან 2606მ) მიენიჭოს საქართველოს ეროვნული გმირის ალეკო ონიანის სახელი.

2. განკარგულება გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი